ᲡᲠᲣᲚᲘᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲗᲔᲚᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲘᲗ

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 26 (5426) | ხუთშაბათი, 2 თებერვალი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

პარტიული კადრების თეორიული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის დიკვიდაციის ამოცანა, მარქსისტულ-ლენინური თეორიით პარტიის წევრთა შეიარაღებისა და ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანა მოითხოვს, რათა სათანადო სიმაღლეზე იქნას აყვანილი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საქმე ცენტრალური კომიტეტის მიერ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსთან მოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ მიღებული დადგენილების შესაბამისად.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენების თეზისებიდან

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის

ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში

თეზისები ამხ. **ა. ჟდანოვის** მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) **XVIII** ყრილობაზე, ძირითადად მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ

ყრილობის დღის წესრიგის მესამე პუნქტი

1. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველჰყო სოციალისტური ეკონომიკის გაბატონება. სსრ კავშირის ეკონომიკის დარგში მომხდარი უდიდესი ცვლილებების შესაბამისად შეიცვალა სსრ კავშირის მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა. სოციალისტური მშენებლობის წლების განმავლობაში ლიკვიდირებულ იქნა ყველა ექსპლოატატორული ელემენტი-კაპიტალისტები, ვაჭრები, კულაკები, სპეკულანტები. სსრ კავშირის მშრომელები—მუშები, გლეხები, ინტელიგენცია—ერმად შეიცვალნენ სოციალისტური მშენებლობის წლების განმავლობაში.

ძირფესვიანად შეიცვალა მუშათა კლასი, რომელიც გადაიქცა სრულიად ახალ კლასად, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ კლასად, რომელმაც მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა და დაამყარა სოციალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე.

ძირფესვიანად შეიცვალა გლეხობა, რომელიც გადაიქცა სრულიად ახალ გლეხობად. ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ გლეხობად, რომლის დიდი უმრავლესობა წარმოადგენს საკოლმეურნეო გლეხობას და რომელიც თავის მუშაობას და თავის დოვლათს ამყარებს არა კერძო მეურნეობაზე, ერთპიროვნულ შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ საკუთრებაზე, კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე.

შეიცვალა ინტელიგენცია, რომლის უდიდესი მასაც სრულიად ახალ ინტელიგენციად გადაიქცა, იხტულეგენციად, რომელიც ყველა თავისი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან. საბჭოთა ინტელიგენცია — გუშინდელი მუშები და გლეხები, მუშებისა და გლეხების შვილები არიან, რომლებიც ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურდნენ. საბჭოთა ინტელიგენცია ემსახურება არა კაპიტალიზმს, როგორც ძველი ინტელიგენცია, არამედ სოციალიზმს და სოციალისტური საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრია.

ამგვარად კლასობრივი ზღუდეები სსრ კავშირის მშრომელთა შორის ჰქრება, ეცემა და ჰქრება ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციას შორის. შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის საფუძველი. საბჭოთა ხალხს ეს მორალურ - პოლიტიკური ერთიანობა ბრწყინვალედ დაადასტურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის შექმნამ და ამ ბლოკის სრულმა გამარჯვებამ. პარტიის გარშემო აღიზარდა მრავალრიცხოვანი კადრები არაპარტიული ბოლშევიკებისა, მოწინავე მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენტებისა, პარტიის საქმისათვის აქტიური და შეგნებული მებრძოლებისა, მასებში მისი ხაზის გამტარებლებისა.

ამ ახალ ვითარებაში მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ შეცვლილ იქმას პარტიაში ახალ წევრთა მიღების პირობები, რომლებსაც ითვალისწინებს წესდება. პარტიაში მიღების წესი, რომელიც ამჟამად მოქმედებს პარტიის წესდების თანახმად და რომლის საფუძველზეც მიღება ხდება ოთხი სხვადასხვა კატეგორიით, პარტიაში შემსვლელის სოციალური მდგომარეობის მიხედვით, აშკარად არ შეესაბამება საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას, რომელიც შეიცვალა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად. უკვე აღარ არის საჭირო პარტიაში მიღების დროს სხვადასხვა კატეგორიებისა და სხვადასხვა საკანდიდატო სტაჟის დაწესება. ამასთან დაკავშირებით პარტიაში ყველა შემსვლელისათვის უნდა დაწესდეს მიღების ერთიანი პირობები და ერთნაირი საკანდიდატო სტაჟი, დამოუკიდებლად იმისა — ეკუთვნიან ისინი მუშათა კლასს, გლეხობას თუ ინტელიგენციას.

2. საჭიროა პარტიის წევრთა და მათ მოვალეობათა შესახებ არსებული საწესდებო დებულება შეიცვალოს დებულებით პარტიის წევრთა უფლებების შესახებ, რომლებიც თავისთავად იგულისხმებიან, მაგრამ წესდებაში აღნიშნული არ არიან. პარტიის წესდების ასეთი შევსება პარტიის წევრთა აქტიურობის ზრდას შეესაბამება და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გავზარდოთ პასუხისმგებლობა პარტიის საქმისათვის, რომ დავიცვათ პარტიის წევრები ბიუროკრატიზმის გამოვლინებისაგან. პარტიის წესდების მე-57 პარაგრაფი ამბობს, რომ: „პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალი და საქმიანი განხილვა ცალკეულ ორგანიზაციებში ან მთლიანად პარტიაში წარმოადგენს პარტიის თვითეული წევრის უდავო უფლებას, რაც შინაპარტიული დემოკრატიიდან გამომდინარეობს“.

გარდა ამ უფლებისა, წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნას პარტიის წევრთა შემდეგი უფლებები:

ა) პარტიის წევრთა უფლება — გააკრიტიკონ პარტიულ კრებებზე პარტიის ყოველი მუშაკი;

ბ) პარტიის წევრთა უფლება — აირჩიონ და არჩეულ იქნან პარტიულ ორგანოებში;

გ) პარტიის წევრთა უფლება — მოითხოვონ პირადი მონაწილეობა ყველა შემთხვევაში, როდესაც გამოაქვთ გადაწყვეტილება მათი საქმიანობის ან საქციელის შესახებ;

დ) პარტიის წევრთა უფლება — მიმართონ ყოველგვარი შეკითხვით და განცხადებით ყოველ პარტიულ ინსტანციას, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსაც კი.

3. საკ. კ. პ. (ბ) წესდებით გათვალისწინებულია პარტიის წმენდა, რაც ხორციელდება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პერიოდულ გადაწყვეტილებათა თანახმად. გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ მომავალში საჭიროა უარეყოთ პარტიის მასობრივი წმენდა შემდეგი მოტივების გამო:

ა) მასობრივი წმენდის მეთოდმა, რაც შემოღებული იყო ნების დასაწყისში, კაპიტალისტური ელემენტების გამოცოცხლების პერიოდში, რათა დაგვეცვა პარტია მის რიგებში ისეთ ადამიანთა შეძვრომისაგან, რომლებიც ნების შემოღებასთან დაკავშირებით იხრწნებოდნენ, ნიადაგი დაჰკარგა ახლანდელ ვითარებაში, როდესაც კაპიტალისტური ელემენტები ლიკვიდირებულია არიან. გარდა, პრაქტიკულად, როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, მასობრივი წმენდის მეთოდი შეუძლებლად ხდის პარტიის წევრებისადმი ერთადერთ სწორ ინდივიდუალურ მიდგომას და ამის ნაცვლად ხელაღებით სტანდარტულად, „საერთო საზომით“ უდგება პარტიის წევრებს. ამის გამო მასობრივი წმენდის დროს ადგილი ჰქონდა პარტიიდან დაუსაბუთებელი გარიცხვის უამრავ შემთხვევას, ხოლო პარტიაში შემძვრალმა მტრულმა ელემენტებმა წმენდა პატიოსან მუშაკთა დევნისა და განადგურებისათვის გამოიყენეს;

ბ) მასობრივი წმენდის მეთოდი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სრულად განვახორციელოთ პარტიული გეზი პარტიის წევრებისადმი, მუშაკებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების შესახებ და, პრაქტიკულად, ხშირად იწვევს პარტიის წევრთა უფლებების შელახვას;

გ) იმ მტრული ელემენტების მიმართ, რომლებიც პარტიაში შეძვრნენ და თავის მტრულ სახეს ორგულობისა და პარტიის მოტყუების საშუალებით ნიღბავენ, მასობრივი წმენდის მეთოდი ნაკლებად ქმედი აღმოჩნდა და მიზანს ვერ აღწევს;

დ) აღმოჩნდა, რომ მასობრივი წმენდის მეთოდის მახვილი უმთავრესად, მიმართული იყო პარტიის ერგულებული პასიური წევრების წინააღმდეგ და იწვევდა პარტიის პატიოსან და კეთილსინდისიერ წევრთა პარტიიდან გარიცხვას ვითომდა მათი პასიურობის მოტივებით.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია გაუქმდეს პარტიის პერიოდული მასობრივი წმენდა და დაწესდეს, რომ პარტიას შეუძლია ჩვეულებრივი წესით გასწმინდოს თავისი რიგები ისეთი პირებისაგან, რომლებიც არღვევენ პარტიის პროგრამას, წესდებას, დისციპლინას.

4. პარტიამ ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე და ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის იანვრის პლენუმზე დაჰგმო პარტიის წევრთა ბედის, პარტიიდან პარტიის წევრთა გარიცხვის და გარიცხულ წევრთა პარტიაში აღდგენის საკითხისადმი ფორმალური და უსულგულო-ბიუროკრატიული დამოკიდებულების პრაქტიკა. როგორც ცნობილია, ეს პრაქტიკა ფართოდ გამოიყენეს პარტიაში შემძვრალმა კარიერისტულმა ელემენტებმა, რომლებიც ცდილობდნენ თავი გამოეჩინათ და დაწინაურებულიყვნენ პარტიიდან ხალხის გარიცხვის საშუალებით, აგრეთვე პარტიის შიგნით მყოფმა შენიღბულმა მტრებმა, რომლებიც რეპრესიული ზომების ფართოდ გატარების გზით ცდილობდნენ გაენადგურებინათ პარტიის პატიოსანი წევრები და დაეთესათ ზედმეტი ეჭვიანობა პარტიის რიგებში.

ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის იანვრის პლენუმმა მიიღო მთელი რიგი ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პარტიიდან ხელაღებით გარიცხვის პრაქტიკის ლიკვიდაციას. დიფერენცირებული მიდგომის ნამდვილად დაწესებას პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხულ წევრთა პარტიაში აღდგენის საკითხების გადაჭრისას.

ამის შესაბამისად საჭიროა შევავსოთ წესდება მთელი რიგი დებულებით, რომლებმაც უნდა:

ა) უზრუნველჰყონ პარტიის წევრისადმი ყურადღებით მიდგომა და გულმოდგინედ გარჩევა იმისა, თუ რამდენად დასაბუთებულია მისთვის წაყენებული ბრალდებანი;

ბ) დაიცვან პარტიის წევრთა უფლებები ყოველგვარი თვითნებობისაგან;

გ) აღკვეთონ პარტიიდან გარიცხვის გამოყენება, რაც პარტიული სასჯელის უმაღლეს ზომას წარმოადგენს, პარტიის იმ წევრებისადმი, რომლებსაც მცირემნიშვნელოვანი დანაშაული ჩაუდენიათ.

5. საჭიროა გაუქმდეს საწესდებო მოთხოვნა პარტიაში მუშაკთა მხოლოდ ერთ კანდიდატებისადმი, რომლის თანახმადაც მათი მიღების პირობად, პარტიის პროგრამისა და წესდების **აღიარების** და საწესდებო საკანდიდატო სტაჟის გავლის გარდა, წამოყენებულია აგრეთვე პროგრამის **შეთვისებაც.**

ამხანაგი სტალინი ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში მიუთითებდა:

„პარტიის პროგრამა რომ შეითვისო უნდა იყო ნამდვილი მარქსისტი, შემოწმებული და თეორიულად მომზადებული მარქსისტი. მე არ ვიცი, ბევრი მოინახება თუ არა ჩვენში პარტიის წევრი, რომელსაც უკვე შეეთვისებინოს ჩვენი პროგრამა, გამხდარიყოს ნამდვილი მარქსისტი, თეორიულად მომზადებული და შემოწმებული. თუ ამ გზას გავყვებით, ჩვენ მოგვიხდებოდა დაგვეტოვებინა პარტიაში მხოლოდ ინტელიგენტები და საერთოდ სწავლული ადამიანები. ვის რად უნდა ასეთი პარტია? ჩვენ გვაქვს პარტიის წევრობის შესახებ შემოწმებული ლენინური ფორმულა, რომელმაც ყველა გამოცდა დაიჭირა. ამ ფორმულის მიხედვით პარტიის წევრად ითვლება ის, ვინც **აღიარებს** პარტიის პროგრამას, შემოაქვს საწევრო გადასახადი და მუშაობს ერთერთ მის ორგანიზაციაში. ყურადღება მიაქციეთ: ლენინურ ფორმულაში ლაპარაკია არა პროგრამის **შეთვისებაზე,** არამედ პროგრამის **აღიარებაზე.** ეს ორი სრულიად სხვადასხვა საგანია. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ აქ მართალია ლენინი და არა ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომლებიც ტყუილ - უბრალოდ ლაყბობენ პროგრამის შეთვისებაზე. ეს გასაგებიცაა. პარტია რომ იქიდან გამოდიოდეს, რომ პარტიის წევრებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი ამხანაგები, რომლებმაც უკვე შეითვისეს პროგრამა და გახდნენ თეორიულად მომზადებული მარქსისტები, იგი აღარ შეჰქმნიდა პარტიაში ათასობით პარტიულ წრეებს, ასობით პარტიულ სკოლებს, სადაც პარტიის წევრებს ასწავლიან მარქსიზმს და ეხმარებიან მათ შეითვისონ ჩვენი პროგრამა. სავსებით ცხადია, რომ თუ პარტია აწყობს ასეთ სკოლებსა და წრეებს პარტიის წევრებს შორის, ეს იმიტომ, რომ მან იცის, რომ პარტიის წევრებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს შეეთვისებინათ პარტიული პროგრამა, ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს გამხდარიყვნენ თეორიულად მომზადებულ მარქსისტებად“.

ამ მოტივებით საჭიროა გაუქმდეს აღნიშნული საწესდებო მოთხოვნა.

6. პარტიის ახალმა ამოცანებმა, რომლებიც წარმოიშვნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ შემობრუნებასთან, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით, პარტიისაგან მოითხოვეს პარტიული მუშაობის პრაქტიკის სათანადოდ გარდაქმნა იმ შინაპარტიული დემოკრატიზმის პრინციპების ცხოვრებაში უცილობლივ და სრულად გატარების საფუძველზე, რომელსაც პარტიის წესდება გვიკარნახებს. ამ მიზნით პარტიამ აღმოფხვრა დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლების დარღვევა, რასაც ადგილი ჰქონდა პარტიული მუშაობის პრაქტიკაში, და აღადგინა, პარტიის წესდების შესაბამისად, პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობა.

პარტიამ გაატარა აგრეთვე მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ თანამიმდევრობითი დემოკრატიული პრაქტიკის გატარებას, სახელდობრ: კოოპტაციის პრაქტიკის გაუქმება, პარტიული ორგანოების არჩევნების დროს სიით ხმის მიცემის აკრძალვა, ცალკეული კანდიდატურების მიხედვით ხმის მიცემაზე გადასვლა, პარტიის ყველა წევრისათვის უზრუნველყოფა განუსაზღვრელი უფლებისა — აკრიტიკოს მისცეს კანდიდატებს და გააკრიტიკოს ეს უკანასკნელნი, პარტიული ორგანოების არჩევნების დროს კანდიდატთა ფარული (საიდუმლო) კენჭისყრის დაწესება, იმის დაწესება, რომ საყალდებულოა საქალაქო პარტიული აქტივების, ხოლო დიდ ქალაქებში — აგრეთვე რაიონული აქტივების პერიოდულად მოწვევა.

წესდებამ უნდა ასახოს პარტიის ეს ახალი ღონისძიებანი, რომლებიც შემოწმებულია პრაქტიკით, რომლებმაც უზრუნველჰყვეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი გაშლა, პარტიული ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერება პარტიული მასის წინაშე, პარტიული მასის აქტივობის ზრდა და ამით ხელი შეუწყეს პარტიის შეიარაღებას პოლიტიკური ხელმძღვანელობის ახალი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

7. პარტიის წესდების თანახმად, პარტიულ გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა განსახორციელებლად (და საბჭოთა-სამეურნეო ორგანოებისა და ძირეული პარტიული ორგანიზაციების მიერ მათი შესრულების შესამოწმებლად) პრაქტიკული მუშაობისათვის საოლქო კომიტეტებში, სამხარეო კომიტეტებში, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში უნდა არსებობდნენ მთლიანი საწარმოო - დარგობრივი განყოფილებანი, ამასთან „თვითეულ საწარმოო-დარგობრივ განყოფილებაში თავს იყრის ამ დარგის მუშაობა მთლიანად: ორკპარტმუშაობა, კადრების განაწილება და მომზადება, აგიტ-მასობრივი მუშაობა, საწარმოო პროპაგანდა, თვალყურის დევნება სათანადო საბჭოთა - სამეურნეო ორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციების მიერ პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი“.

მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ პარტიული აპარატის ასეთი ორგანიზაცია საკმაო არ აღმოჩნდა.

გასულ პერიოდში პარტიის ცენტრალური ორგანიზაციული ამოცანა იყო და ამჟამადაც რჩება ამოცანა ადამიანთა სწორი შერჩევისა და შესრულების შემოწმებისა. ამ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებდა ლენინი, რომელიც პარტიის XI ყრილობაზე აღნიშნავდა:

„ჩვენ იქამდე მივედით, რომ მდგომარეობის დედაარსია ადამიანები, ადამიანთა შერჩევა... შეარჩიეთ საჭირო ადამიანები და შეამოწმეთ პრაქტიკული შესრულება,—და ამას ხალხი დაიფასებს“.

თავის მოხსენებაში პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მთელი სიძლიერით გაუსვა ხაზი ადამიანთა სწორად შერჩევისა და შესრულების შემოწმების მნიშვნელობას, როცა სთქვა:

„გამარჯვება არასოდეს არ მოდის თითონ,—მას ჩვეულებრივ მოიპოვებენ ხოლმე. კარგი რეზოლუციები და დეკლარაციები პარტიის გენერალური ხაზის სასარგებლოდ — ეს მხოლოდ დასაწყისია საქმისა, რადგან ისინი ნიშნავენ მხოლოდ გამარჯვების სურვილს, და არა თვითი გამარჯვებას. მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი ხაზი, მას შემდეგ, რაც მოცემულია საკითხის სწორი გადაწყვეტა, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, ბრძოლის ორგანიზაციაზე პარტიის ხაზის ცხოვრებაში გატარებისათვის, ადამიანების სწორად შერჩევაზე, ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე. უამისოდ პარტიის სწორი ხაზი და სწორი გადაწყვეტილებები შეიძლება სერიოზულად დაზარალდეს. უფრო მეტი: მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, ორგანიზაციული მუშაობა სწყვეტს ყველაფერს, მათ შორის თვით პოლიტიკური ხაზის ბედსაც, — მის შესრულებას, ან მის ჩაშლას“.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ადამიანთა შერჩევისა და შესრულების შემოწმების ხაზით ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის სისუსტენი დღემდე არ არის დაძლეული. კადრების შერჩევის საქმის საწარმოო - დარგობრივ განყოფილებათა შორის დაჭაქვამ ორგანიზაციული მუშაობის გაქანების შემცირება გამოიწვია, გააძნელა მუშაკების საჭირო გადაყვანა ერთი დარგიდან მეორეში, ადამიანთა დაწინაურება, მათი მიზანშეწონილი გამოყენება იმ უბნებზე, რომლებსაც მოცემულ მომენტში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ პარტიისათვის. კადრების შერჩევის საქმის პარტიული აპარატის სხვადასხვა საწარმოო - დარგობრივ განყოფილებათა შორის დაჭაქვამ პირდაპირი დაბრკოლება გახდა კადრების შერჩევის და განაწილების ამოცანის წარმატებით გადაჭრისა, ეს ამოცანა მოითხოვს, რომ კადრების ხაზით მთელი მუშაობა ერთიანი ცენტრიდან წარმართოს ამ მუშაობის ერთიან აპარატში კონცენტრაციის გზით, რომელშიც თავმოყრილი უნდა იყოს კადრების შერჩევით მიღებული გამოცდილება, კადრების შესწავლის საქმე, მათი განაწილებით მიღებული გამოცდილება.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, გაითვალისწინა რა ასეთი მდგომარეობა, მთელი რიგი ზომები მიიღო, თავი მოუყარა კადრების შერჩევის საქმეს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილებაში. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ კადრების მომზადებისა და შერჩევის საქმის პირველხარისხოვან მნიშვნელობას და ამ მუშაობის დიდ მოცულობას, მართებული იქნებოდა გადაგვეკეთებინა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების განყოფილება, ამასთან მუშაობის ყველა დარგის კადრების ხაზით მუშაობა გამოგვეყო კადრების დამოუკიდებელ სამმართველოდ, ხოლო პარტიულ - ორგანიზაციული ხელმძღვანელობის საკითხები — სპეციალურ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებად.

8. საკმაო არ აღმოჩნდა აგრეთვე პრაქტიკა პარტიული დირექტივების შესრულების შემოწმების დაჭაქვისა სხვადასხვა საწარმოო-დარგობრივ განყოფილებათა შორის. აუცილებელია ამ სამუშაოსაც ერთ ადგილას მოვუყაროთ თავი, და, ამის შესაბამისად, შევცვალოთ პარტიული კონტროლის კომისიის საქმიანობის ხასიათი. პარტიული კონტროლის კომისიის ცენტრალური ამოცანა უნდა გახდეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის გაძლიერებისა და ადგილობრივ ორგანიზაციათა მუშაობის სისტემატური შემოწმების მოწყობის ამოცანა. აუცილებელია დაწესდეს, რომ პარტიული კონტროლის კომისია მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან. ამასთან დაკავშირებით საჭირო აღარ არის პარტიული კონტროლის კომისიის აარჩევა უშუალოდ პარტიის ყრილობაზე. პარტიული კონტროლის კომისიას უნდა აირჩევდეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და იგი უნდა მუშაობდეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დირექტივებით.

9. პარტიული კადრების თეორიული და პოლიტიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ამოცანა, მარქსისტულ - ლენინური თეორიით პარტიის წევრთა შეიარაღებისა და ბოლშევიზმის დაუფლების ამოცანა მოითხოვს, რათა სათანადო სიმაღლეზე იქნას აყვანილი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საქმე ცენტრალური კომიტეტის მიერ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ მიღებული დადგენილების შესაბამისად.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს უნდა ჰქონდეს პროპაგანდისა და აგიტაციის მძლავრი აპარატი პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს სახით, რომელიც თავს მოუყრის მთელს მუშაობას ბეჭდვითი და სიტყვიერი პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში.

10. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საწარმოო - დარგობრივი განყოფილებანი ლიკვიდირებულ უნდა იქნან, გარდა სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისა, იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს სოფლის მეურნეობის დარგში საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისათვის კონტროლისა და მეთვალყურეობის გაწევის ამოცანას, და სკოლების განყოფილებისა, რომელმაც კონტროლი უნდა გაუწიოს სახალხო განათლების საქმის დაყენებას ყველა რესპუბლიკაში.

საოლქო კომიტეტებში, სამხარეო კომიტეტებში და ნაცკომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებში უნდა შეიქმნას განყოფილებანი: კადრების, პროპაგანდისა და აგიტაციის, საორგანიზაციო - საინსტრუქტორო და სასოფლო - სამეურნეო, ყველა დანარჩენი საწარმოო - დარგობრივი განყოფილებანი კი გაუქმდეს.

რაიკომებსა და ქალაქკომებში აუცილებელია გვქონდეს განყოფილებანი: კადრების, პროპაგანდისა და აგიტაციის და საორგანიზაციო-საინსტრუქტორო.

პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა და კადრების განყოფილებათა ხელმძღვანელობა საოლქო კომიტეტებში, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში უნდა დაეკისროთ განსაკუთრებულ მდივნებს.

11. სოციალისტური მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის სწრაფი პოლიტიკური და კულტურული ზრდის პირობებში მკვეთრად გაძლიერდა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტემპი. იმისათვის, რათა განვახორციელოთ სახელმწიფო და პარტიული საქმეებისადმი ხელმძღვანელობა, სწრაფად გამოვეხმაუროთ ცხოვრების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს და თავის დროზე გადავჭრათ მომწიფებული საკითხები, აუცილებელია შევსებულ იქნას პარტიის ცენტრალური ორგანიზაციების არსებული სქემა — პარტიის ყრილობა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი —ახალი ორგანოთი, — სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დიდი პერიოდი პარტიის ყრილობებს შუა ზღუდავს შესაძლებლობას დაწინაურებულ იქნან ხელმძღვანელ სამუშაოზე, და განსაკუთრებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, პარტიის მუშაკთა გაზრდილი კადრები, ხოლო კონფერენციას შეეძლებოდა მიეცა პარტიისათვის ასეთი საშუალება. ამასთან დაკავშირებით მომწიფდა საჭიროება, რომ პარტიის ცენტრალური ორგანიზაციების სქემა პარტიის ყრილობა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი—შეივსოს პარტიის სრულიად-საკავშირო კონფერენციით, რომლის მოწვევა მოხდება წელიწადში ერთხელ მაინც ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლობისაგან, იმ ანგარიშით, რომ პარტიის სრულიად - საკავშირო კონფერენციის მთავარ ამოცანად მიჩნეულ იქნას პარტიის პოლიტიკის მომწიფებული საკითხების განხილვა.

პარტიის სრულიად - საკავშირო კონფერენციას უნდა მიეცეს ცენტრალური კომიტეტის წევრთა ნაწილობრივად შეცვლის უფლება, ესეიგი უფლება გამოიყვანოს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრები, რომლებიც, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრები, ვერ უზრუნველჰყოფენ თავიანთ მოვალეობათა შესრულებას, და შესცვალოს ისინი სხვებით, მაგრამ იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრების, ვერ უზრუნველჰყოფენ თავიანთ მოვალეობათა შესრულებას, და შესცვალოს ისინი სხვებით, მაგრამ იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრების, რომლებიც, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრები, ვერ უზრუნველჰყოფენ თავიანთ მოვალეობათა შესრულებას, და შესცვალოს ისინი სხვებით, მაგრამ იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრების რიცხვიდან და მათ ნაცვლად ირჩევს ცენტრალური კომიტეტის წევრობის ახალ კანდიდატებს შესაბამისი რაოდენობით.

კონფერენციის გადაწყვეტილება, გარდა იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც ეხება ცენტრალური კომიტეტის წევრთა შეცვლასა და ცენტრალური კომიტეტის წევრობის ახალ კანდიდატთა არჩევას და რომელიც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მხრივ დამტკიცებას არ საჭიროებს, დამტკიცებულ უნდა იქნან საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ. კონფერენციის გადაწყვეტილებანი, დამტკიცებულნი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, სავალდებულოა ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის. კონფერენციის დელეგატებს ირჩევენ საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე. ცენტრალური კომიტეტის წევრები, თუ ისინი არ არიან დელეგატები ადგილობრივ ორგანიზაციათა რწმუნებით, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

12. განვლილი პერიოდის მანძილზე პარტიულ - პოლიტიკური და პარტიულ - ორგანიზაციული მუშაობის აღმავლობის საფუძველზე განმტკიცდნენ პირველადი პარტორგანიზაციები, გაუმჯობესდა მათი კავშირი მასებთან, ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი, ამაღლდა პარტიული ცხოვრების დონე. პარტიული ორგანიზაციები უფრო ახლოს მივიდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებთან.

გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ პარტიული ორგანიზაციების წარმატებული მუშაობა უზრუნველყოფილი იყო იქ, სადაც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ შესძლო შეეხამებინა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან, სტახანოვური მოძრაობის გაშლასთან, პარტიულ-სამეურნეო სამუშაოზე ახალი კადრების დაწინაურებასთან. და პირიქით, იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები განზე გაუდგნენ მეურნეობას და თავის ამოცანები აგიტაციით შემოფარგლეს, ან იქ, სადაც პარტორგანიზმა იკისრეს მათთვის შეუფერებელი ფუნქციები მეურნეობის ხელმძღვანელობისა, და ამით შესცვალეს და გააუპიროვნეს სამეურნეო ორგანოები, იქ მუშაობა გარდუვალად ჩიხში ექცეოდა.

ამჟამად მომწიფდა იმის საჭიროება, რომ უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ამოცანები სხვადასხვა ტიპის პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და კერძოდ ისეთი სხვადასხვა ტიპის პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა, როგორიცაა პარტიული ორგანიზაცია წარმოებაში (ფაბრიკა, ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა) და სახალხო კომისარიატის პარტიული ორგანიზაცია. საწარმოო ტიპის (საფაბრიკო, საქარხნო, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის) პარტიულ ორგანიზაციას უნდა მიეცეს უფლება კონტროლი გაუწიოს საქმის მდგომარეობას საწარმოში. საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში. ამან უნდა მიგვიყვანოს წარმოებაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებამდე. რაც შეეხება სახალხო კომისარიატების პარტიულ ორგანიზაციებს, რა

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის

ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში

თეზისები ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, ძირითადად მოწონებული საკ. კ პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ

ყრილობის დღის წესრიგის მე-3 პუნქტი

(დასასრული)

მიერ არაუგვიანეს ორი კვირის ვადისა.

7. გაუქმდეს საწესდებო მოთხოვნა კანდიდატებისადმი, რის მიხედვითაც ამხანაგები, რომლებმაც სკ კანდიდატო სტაჟი გაიარეს, პარტიის პროგრამას აღიარებენ და წევრობის მოვალეობებიან მის წესდებასა და დისციპლინას, მაინც არ შეიძლება ჩაითვალონ პარტიის წევრებად, ვიდრე არ შეითვისებენ პარტიის პროგრამას, ე. ი. ვიდრე არ გახდებიან მარქსისტულად განათლებული პარტიელები.

II. პარტიის წევრობის კანდიდატების შესახებ

8. კარი პარტიის წევრობის კანდიდატთა შესახებ შეუფარდდეს კარს პარტიის წევრთა შესახებ (მიღების კატეგორიების გაუქმება)

9. დაწესდეს მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის საერთო საკანდიდატო სტაჟი ერთი წლის ვადით.

10. სხვა პარტიებიდან გამოსულთათვის დატოვებულ იქნას ამჟამად მოქმედი საწესდებო წესები.

III. პარტიის ორგანიზაციული წყობის შესახებ

11. შეტანილ იქნას წესდებაში შემდეგი დამატებითი დებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიაში თანამედროვეობითი დემოკრატიული პრაქტიკის გატარებისა და დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლების ბოლომდე განხორციელების ამოცანებიდან:

ა) აიკრძალოს პარტიული ორგანოების არჩევნების დროს, ხმის მიცემა სიით. ხმის მიცემა ხდებოდეს ცალკეული კანდიდატურების მიხედვით, ამასთან პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე არჩეული ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილ იქნას განუსაზღვრელი უფლება — აცილება მისცეს კანდიდატებს და გააკრიტიკოს ეს უკანასკნელნი;

ბ) დაწესდეს პარტიული ორგანოების არჩევნებისას კანდიდატთა დახურული (ფარული) კენჭისყრა.

12. ვინაიდან პარტიულ აქტივს განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს პარტიის ცხოვრებაში, შეიცვალოს წესდება შემდეგი პუნქტით საქალაქო ორგანიზაციათა აქტივების შესახებ:

საჭიროდ ჩაითვალოს, რათა უკლებლივ ყველა რესპუბლიკურ, საშტაბო და საოლქო ცენტრში და აგრეთვე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ყველა სამრეწველო ცენტრში აუცილებლად მოწვეულ იქნას ხოლმე საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივები პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განსახილველად, რათა აქტივები მოწვეულ იქნას არა პარადისათვის და ამ გადაწყვეტილებათა ფორმალურ-საზეიმო მოწონებისათვის, არამედ მათი ნამდვილი განხილვისათვის, რათა დიდ ცენტრებში მოწვეულ იქნას არა მარტო საქალაქო, არამედ რაიონული პარტიული აქტივებიც.

13. ლიკვიდირებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში საწარმოო - დარგობრივი განყოფილებანი, სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისა და სკოლების განყოფილების გარდა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნას შემდეგი სამმართველოები და განყოფილებანი:

ა) ხელრების სამმართველო;

ბ) პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველო;

გ) საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება;

დ) სასოფლო-სამეურნეო განყოფილება.

ე) სკოლების განყოფილება.

საოლქო კომიტეტებში, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში იქმნება:

ა) კადრების განყოფილება;

ბ) პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება;

გ) საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება;

დ) სასოფლო-სამეურნეო განყოფილება.

საქალაქო კომიტეტებსა და რაიონულ კომიტეტებში იქმნება:

ა) კადრების განყოფილება;

ბ) პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება;

გ) საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილება.

14. არსებული საწესდებო წესის შესაცვლელად დადგინდეს იქნას რომ პარტიული კონტროლის კომისიას ირჩევს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და რომ იგი მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

პარტიული კონტროლის კომისია:

ა) კონტროლს უწევს საბჭოთა-სამეურნეო ორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციების მიერ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესრულებას;

ბ) ამოწმებს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას;

გ) პასუხისგებაში აძლევს საკ. კ. პ. (ბ) პროგრამისა და წესდების და პარტიული დისციპლინის დარღვევაში დამნაშავეებს.

15. საოლქო კომიტეტებსა, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებში პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა და კადრების განყოფილებათა ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ მდივნებს უნდა დაეკისროთ.

IV. პარტიის ცენტრალური ორგანიზაციების შესახებ

16. შეესწორდეს იქნას საკ. კ. პ. (ბ) წესდება შემდეგი დებულებებით სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის შესახებ:

ა) სრულიად-საკავშირო კონფერენცია მოიწვევა ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობით პარტიის პოლიტიკის მომწიფებული საკითხების განსახილველად;

ბ) სრულიად - საკავშირო კონფერენცია მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც;

გ) სრულიად-საკავშირო კონფერენციის დელეგატებს ირჩევენ საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებისათვის დაწესდეს პარტიული სტაჟი 12 წლის ნაცვლად არანაკლებ 5 წლისა, ქალაქების მდივნებისათვის — 10 წლის ნაცვლად არანაკლებ 3 წლისა, რაიკომების მდივნებისათვის — 7 წლის ნაცვლად არა ნაკლებ 3 წლისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და სამუშაოზე პარტორგებისათვის ნაცვლად პირველ შემთხვევაში არანაკლებ 3 წლის, ხოლო მეორე შემთხვევაში არანაკლებ 2 წლის სტაჟისა, დაწესდეს პარტიული სტაჟი არანაკლებ ერთი წლისა.

ოლქების, ფლოტებისა და არმიების პოლიტსამმართველოთა უფროსებისათვის სავალდებულოდ ჩაითვალოს 10 წლის ნაცვლად 5 წლის პარტიული სტაჟი და დივიზიებისა და ბრიგადების პოლიტგანყოფილებათა უფროსებისათვის — 6 წლის ნაცვლად 3 წლის პარტიული სტაჟი.

V. ოლქკომების. ქალაქკომების. რაიკომების მდივნებისა და წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტგანყოფილებათა უფროსებისათვის პარტიული სტაჟის შესახებ

17. ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე პარტიულ მუშაკთა ახალი კადრების დასაწინაურებლად საჭირო პირობების შექმნის მიზნით, წესდების სათანადო პარაგრაფთა შესაცვლელად, საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებისათვის დაწესდეს პარტიული სტაჟი 12 წლის ნაცვლად არანაკლებ 5 წლისა, ქალაქკომების მდივნებისათვის — 10 წლის ნაცვლად არანაკლებ 3 წლისა, რაიკომების მდივნებისათვის — 7 წლის ნაცვლად არა ნაკლებ 3 წლისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და სამუშაოზე პარტორგებისათვის ნაცვლად პირველ შემთხვევაში არანაკლებ 3 წლის, ხოლო მეორე შემთხვევაში არანაკლებ 2 წლის სტაჟისა, დაწესდეს პარტიული სტაჟი არანაკლებ ერთი წლისა.

ოლქების, ფლოტებისა და არმიების პოლიტსამმართველოთა უფროსებისათვის სავალდებულოდ ჩაითვალოს 10 წლის ნაცვლად 5 წლის პარტიული სტაჟი და დივიზიებისა და ბრიგადების პოლიტგანყოფილებათა უფროსებისათვის — 6 წლის ნაცვლად 3 წლის პარტიული სტაჟი.

VI. პარტიის სამხარეო-საოლქო-რესპუბლიკური ორგანიზაციების შესახებ

18. დაწესდეს, რომ საოლქო კომიტეტებსა, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში უნდა იყოს 4-5 მდივანი, მათ შორის პირველი მდივანი, მეორე მდივანი, მდივანი კადრების დარგში და მდივანი პროპაგანდის დარგში.

VII. პარტიის საოკრუგო ორგანიზაციების შესახებ

19. მიენიჭოს საოკრუგო პარტიულ ორგანიზაციებს საწესდებო უფლებები, ამასთან შეიცვალოს საკ. კ. პ. (ბ) წესდება სათანადო დებულებით.

VIII. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარტორგანიზაციების შესახებ

20. სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის შექმნასთან დაკავშირებით, საწესდებო დებულება წითელი არმიის პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის პოლიტიკური სამმართველო მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო - საზღვაო განყოფილების უფლებებით.

IX. პირველადი პარტიული ორგანიზაციების შესახებ

21. საწარმოო საწარმოების, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და საწარმოთა მუშაობის მდგომარეობისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, მიენიჭოს ამ ორგანიზაციებს საწარმოს ადმინისტრაციის მუშაობის კონტროლის უფლება.

სახალხო კომისარიატების პარტიული ორგანიზაციები, რომელნიც საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის განსაკუთრებული პირობების გამო, კონტროლის ფუნქციებით ვერ ისარგებლებენ, ვალდებულნი არიან მისცენ სიგნალები დაწესებულების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ, აღნიშნონ სახალხო კომისარიატის და მისი ცალკეული მუშაკების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და გადაუგზავნონ თავიანთი მასალები და მოსაზრებანი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელებს.

სახალხო კომისარიატთა პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ამ. ტკიცებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის ყველა კომუნისტი-მუშაკი შედის სახალხო კომისარიატის ერთ საერთო პარტიულ ორგანიზაციაში.

22. არსებული დებულების შესაცვლელად ამიერიდან პირველადი პარტიული ორგანიზაციების არჩევითს ორგანოებს ეწოდოს ძველი კომიტეტები, არამედ ბიუროები (ამა და ამ პარტიული ორგანიზაციის ბიურო).

23. პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროები იქმნება იმ პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებშიც ირიცხება პარტიის არანაკლებ 15 წევრისა.

24. კოლექტიური ხელმძღვანელობის სულისკვეთებით პარტიის წევრთა სწრაფი გამოწრთობისა და აღზრდის მიზნით, საამპროებს იმ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებშიც ირიცხება პარტიის არანაკლებ 15, მაგრამ არაუმეტეს 100 წევრისა, მიენიშნოთ უფლება აირჩიონ სამჭროს პარტიულ ორგანიზაციის ბიურო 3-5 კაცის შემადგენლობით, ხოლო იმ ორგანიზაციებში, რომლებშიც პარტიის 100 წევრზე მეტი ირიცხება 5-7 კაცის შემადგენლობით.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

I.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით პირველადი პარტორგანიზაციების კრებების, რაიონული, საქალაქო, სამხარეო პარტკონფერენციებისა და ნაცკომპარტიების კომპარტიების ყრილობების ჩატარების შესახებ

1. 1939 წლის I თებერვლიდან 1 მარტამდე ჩატარდეს:

ა) დახურული კრებები პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა რაიონულ და საქალაქო პარტკონფერენციებზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად;

ბ) რაიონული და საქალაქო პარტკონფერენციები საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე და საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკათა ნაცკომპარტიების ყრილობებზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად;

გ) საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციები და საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკათა ნაცკომპარტიების ყრილობები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად.

2. არჩევნები პარტიულ კონფერენციებზე გასაგზავნი დელეგატებისა, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად ჩატარდეს დახურული (ფარული) კენჭისყრით.

3. საქალაქო პარტორგანიზაციებში, რომელთაც რაიონული დაყოფა აქვთ, საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე და ნაცკომპარტიების ყრილობებზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები ჩატარდეს რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე.

4. პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე, რაიონულ, საქალაქო, საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე და ნაცკომპარტიების ყრილობებზე განხილულ იქნას თეზისები ამხ. მოლოტოვის მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა“ (ყრილობის დღის წესრიგის მე-2 პუნქტი) და თეზისები ამხ. ჟდანოვის მოხსენებისა — „ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში“ (ყრილობის დღის წესრიგის მე-3 პუნქტი) დაისვას

II.

XVIII პარტიული ყრილობისათვის თეზისების განხილვის შესახებ

1. თეზისები ამხ. მოლოტოვის მოხსენებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა“ (ყრილობის დღის წესრიგის მე-2 პუნქტი) და თეზისები ამხ. ჟდანოვის მოხსენებისა — „ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში“ (ყრილობის დღის წესრიგის მე-3 პუნქტი) დაისვას პარტიულ კრებებზე და პრესაში განსახილველად.

2. „პრავდასთან“ გამოიცეს „სადისკუსიო ფურცელი“, რომელშიც დაიბეჭდოს კრიტიკული სტატიები, შესწორებანი და კონკრეტული წინადადებანი თეზისებისათვის.

„პრავდა“, 1939 წლის 1 თებერვალი.

XVIII პარტიული ყრილობის თეზისების განხილვა

სადისკუსიო ფურცელი „პრავდაში“

1 თებერვალს „პრავდამ“ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად გამოსცა სადისკუსიო ფურცელი № 1 საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის.

პირველი სადისკუსიო ფურცელი იწყება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით პირველადი პარტორგანიზაციების კრებების, რაიონული, საქალაქო და სამხარეო პარტკონფერენციებისა და ნაცკომპარტიების ყრილობების ჩატარების შესახებ“ და „XVIII პარტიული ყრილობის თეზისების განხილვის შესახებ“.

ამხანაგების — მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების განხილვას „პრავდა“ იწყებს სარედაქციო სტატიით: „საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის წინ“.

პირველ სადისკუსიო ფურცელში გამოქვეყნებულია სამი სტატია: № 32 საამშენებლო ტრესტის მშპრ. თველის გ. პოზნისა—„საამშენებლო ინდუსტრიის ვადაუდებელი საკითხები“, გ. ეპშტეინისა — „განა დრო არ არის შემოვიღოთ მოწყობილობის გამოყენების სახელმწიფო კონტროლი?“ და გ. შარაპოვისა — „მაწვათმოწყობისა და მიწათსარგებლობის შესახებ“. (საკდესი).

გაზ. „ჩვენი საყვირის“ რედაქციას

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია მხურვალედ მიესალმება თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მრავალტირაჟიანი ორდღიური გაზეთის „ჩვენი საყვირის“ რედაქციასა და მუშკორებს გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან 10 წლისთავის შესრულების გამო.

„კომუნისტის“ რედაქცია უსურვებს გაზეთ „ჩვენი საყვირის“ მუშაკებს კიდევ უფრო გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, ბოლშევიკურად იბრძოლონ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის სოციალისტური კულტურის დახვეწისათვის, ახალი კადრების აღზრდისა და დაწინაურებისათვის, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისათვის, კომუნისტებისა და უპარტიოების „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსით“ შეიარაღებისათვის, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში

25 იანვარს ამხანაგ **ვ. ზ. ბაქრაძის** თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა.

სახკომსაბჭომ განიხილა საკითხი ტრაქტორების საშემოდგომო - საზამთრო რემონტის მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც მტს-ებში ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა 20 იანვრისათვის საერთოდ შესრულებულია 78,4 პროცენტით, ჩამორჩენილია „ჩტზ“ მარკის ტრაქტორების რემონტი (კაპიტალური 40,4 პროც., მიმდინარე — 54,6 პროც.). მიუხედავად იმისა, რომ 48 მტს-იდან, რომლებიც რემონტს აწარმოებენ, 15 მტს-მა საკვანძო დაამთავრა ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მტს-ები, რომლებიც ადრე იწყებენ საგაზაფხულო სამუშაოებს, კვლავ ჩამორჩებიან — გურჯაანის—47,2 პროც., კაჭრეთის— 55,0 პროც., ალაზნის—46,0 პროც., თბილისის— 50,8 პროც., წნორის—64,5 პროც., თელავის—60,8 პროც., გალის — 25,0 პროც., ოჩამჩირის — 47,0 პროც., ზუგდიდის — 56,0 პროც., ვანის—60,0 პროც., ქუთაისის — 60,9 პროც.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ტრაქტორებს რემონტი ელდარის საბჭოთა მეურნეობაში (22 ტრაქტორიდან შეკეთებულია 4).

გარდა ამისა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ზოგიერთ მტს-ში ადგილი აქვს ტრაქტორების რემონტის არადამაკმაყოფილებელ ხარისხს (ტრაქტორისტის შტს, წნორის მტს და სხვ.).

სახკომსაბჭომ დაავალა იმ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რომლებიც ჩამორჩებიან სატრაქტორო პირკის რემონტში, სამი დღის ვადაში გადასინჯონ რემონტიდან ტრაქტორების გამოშვების გრაფიკი და თვითეულ სარემონტო ბრიგადას ყოველ დეკადაზე დაუწესონ კალენდარული დავალებანი იმ ანგარიშით, რომ ტრაქტორების რემონტი აუცილებლად დამთავრდეს დაწესებულ ვადებში და გაძლიერდეს რემონტის ხარისხის შემოწმება, გააფრთხილონ მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და უფროსი მექანიკოსები, რომ რემონტის ცუდი ხარისხისათვის ისინი პერსონალურად აგებენ პასუხს.

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სსრ მიწსახკომს შეამოწმოს დეფიციტური სათადარიგო ნაწილების არსებული რაოდენობა იმ მტს-ებში, რომლებმაც რემონტი დაამთავრეს, და ხუთი დღის ვადაში მოაწყოს მათი მიწოდება იმ მტს-ებისათვის, რომლებსაც ისინი ესაჭიროება, აგრეთვე მიამაგროს გურჯაანისა და კაჭრეთის მტს-ებს მიწსახკომის პასუხისმგებელი მუშაკები ტრაქტორების რემონტის საქმეში დახმარების გასაწევად.

სახკომსაბჭომ დაავალა წალენჯიხის, სილნაღის, თელავის, გალის, ოჩამჩირის, ზუგდიდის, ვანის, ქუთაისისა და თბილისის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს შეამოწმონ აღნიშნული რაიონების მტს-ებში ტრაქტორების რემონტის ჩამორჩენის მიზეზები, მიიღონ საჭირო ზომები, გაუწიონ მათ კონკრეტული დახმარება და მიაღწიონ ტრაქტორების რემონტის დამთავრების დაწესებულ ვადებში.

სახკომსაბჭომ აღნიშნა ტრაქტორების რემონტისათვის მუშაობის სრულიად არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია ტრესტ „საქართველოს ჩაის“ სისტემაში (კაპიტალურად შესაკეთებელი 15 ტრაქტორიდან შეკეთებულია მხოლოდ 4) და დაავალა „საქართველოს ჩაის“ საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველის მოადგილეს ამხ. გოგეშვილს თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში ცალკე შეამოწმოს ტრაქტორების რემონტის ჩამორჩენის მიზეზები, აგრეთვე შეამოწმოს ყველა საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების არსებული რაოდენობა. მოაწყოს მათი მიწოდება იმ საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც ისინი ესაჭიროება, და უზრუნველჰყოს ტრაქტორების რემონტის სავსებით დამთავრება არაუგვიანეს 20 თებერვლისა.

○

განიხილა რა საკითხი 1939 წლის გაზაფხულზე ციტრუსოვანი კულტურების, ჩაისა და ტუნგოს გაშენების გეგმის შესრულებისათვის ნიადაგის მომზადების მიმდინარეობის შესახებ, სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოებმა და მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიაღმასკომებმა არ შეასრულეს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებანი ჩაის, ციტრუსოვანი კულტურებისა და ტუნგოსათვის 1938 წლის შემოდგომაზე ნიადაგების მომზადების შესახებ და იანვარში გრძელდება მუშაობა ნიადაგის მომზადებაში, რაც საფრთხეს უქმნის 1939 წლის გაზაფხულზე ჩაის, ციტრუსოვანი კულტურებისა და ტუნგოს გაშენების გეგმების შესრულებას.

სახკომსაბჭომ განსაკუთრებით აღნიშნა ციტრუსოვანი კულტურების გაშენებისათვის ნიადაგის მომზადების გეგმის ჩამორჩენა; გეგმა შესრულებულია 8,7 პროცენტით (492 ჰექტარი გეგმით გათვალისწინებული 5.000 ჰექტარის ნაცვლად).

სახკომსაბჭომ დაავალა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, სამტრედიის, აბაშის, ცხაკაიას, ხობის, ფოთის, წალენჯიხის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, წულუკიძის, ქუთაისისა და ტყიბულის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებსა და სამიწათმოქმედო ორგანოების გამგეებს დაუყოვნებლივ მოისპონ სახკომსაბჭოებისა და რაიაღმასკომების პრეზიდიუმების სხდომებზე საკითხი ზემოთაღნიშნული კულტურებისათვის ნიადაგის მომზადების მიმდინარეობის შესახებ, თვითეულ კოლმეურნეობაში ცალკე დასახონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულება დაწესებული ვადისათვის; მიამაგრონ კოლმეურნეობებს რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები გეგმის მთლიანად შესრულების დამთავრებამდე, დააკისრონ ამ მუშაკებს კოლმეურნეობების თავმჯდომარეების თანაბრად პასუხისმგებლობა გეგმის შესრულებისათვის.

სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ „საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების“ ტრესტს, რომელსაც აქვს მანდარინის გაშენების გეგმა 56,78 ჰექტარის რაოდენობით და ლიმონისა 56.9 ჰექტარის რაოდენობით, არ მოეპოვება ცნობები ამ კულტურების გაშენებისათვის ნიადაგის მომზადების მიმდინარეობის შესახებ, ტრესტი არსებითად განზე გაუდგა ამ საქმეში საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობას. სახკომსაბჭომ დაავალა „საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების“ ტრესტს (ამხ. გოგეშვილს) შეამოწმოს ნიადაგის მომზადების მიმდინარეობა ყოველ ცალკეულ საბჭოთა მეურნეობაში და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

○

სახკომსაბჭომ განიხილა საკითხი 1939 წლისათვის ვენახების გაშენების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ და წინადადება მისცა საქართველოს მიწსახკომს და თბილისის, კახეთის, გორის, ორჯონიკიძისა და ზესტაფონის რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს — შამპანურის ჯიშების ვაზის გაშენების 1938 წლის შემოდგომის დანაკლისი შეიტანონ 1939 წლის გაზაფხულის გეგმაში და უზრუნველჰყონ მისი შესრულება.

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი რაიონობრივი გეგმა 1939 წლის გაზაფხულზე ვაზის დამყნისა—37.018,9 ათასი ცალის რაოდენობით, აქედან შამპანურის ჯიშებისა –5.446,3 ათასი ცალის რაოდენობით, და მოიწონა 1939 წლის გაზაფხულისათვის 2.925 ხახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხანამ არ შეასრულა მოწყობილობის მიწოდება შამპანურის წარმოების ქარხნებისათვის, რომლებიც ქალ. როსტოვსა და თბილისში შენდება. სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ ქალ. როსტოვისა და თბილისის შამპანურის ქარხნებისათვის მოწყობილობის მიწოდების ჩაშლის მიზეზები იყო: ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორის ამხ. ბალანკოვისა და მთავარი ინჟინერის ამხ. რუსანოვის არასერიოზული დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი დავალების შესრულებისადმი; საჭირო მასალებით არა თავის დროზე და არაკომპლექტურად მომარაგება „გლავსნაბის“, „გლავჩაის“ და „გლავვინოს“, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის მხრით და „ცენტროლიტის“ მიერ ხელშეკრულებით ფოლადის სხმულის მიწოდების ვადების ჩაშლა, აგრეთვე მილტუჩის შეღაერებისათვის არაკეთილხარისხოვანი სხმულის გამოშვება.

სახკომსაბჭომ დაავალა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორს და მთავარ ინჟინერს, უზრუნველჰყონ საჭირო კომპლექტური მოწყობილობის გადაგზავნა დაწესებულ ვადებში, აგრეთვე დაუყოვნებლივ დააკომპლექტონ წარმოება კვალიფიციური მუშახელის საჭირო რაოდენობით და მოაწყონ სამ ცვლად მუშაობა.

სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარს ამხ. წიკლაურს თვალყური ადევნოს შამპანურის ქარხნებისათვის მოწყობილობის დამზადების მიმდინარეობას და თავის დროზე მიუთითებას და ყოველ ხუთდღიურში მოახსენოს სახკომსაბჭოს სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

სახკომსაბჭომ საყვედური გამოუცხადა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორს ამხ. ბალანკოვს და მთავარ ინჟინერს ამხ. რუსანოვს შამპანური ქარხნებისათვის მოწყობილობის დამზადების მნიშვნელოვანი დავალებისადმი არასერიოზულად მოპყრობისათვის და გააფრთხილა ისინი, რომ თუ შემდეგში არ უზრუნველჰყვეს მოწყობილობის დამზადება და მიწოდება, ისინი მოსწყდებიან სამუშაოდან და პასუხისგებაში მისცემენ წესით. მთელი მასალები ქარხანა „ცენტროლიტის“ მიერ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნისთვის ფოლადის სხმულის მიწოდების ჩაშლის შესახებ გადაეცა რესპუბლიკის პროკურორს გამოსაძიებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

○

სახკომსაბჭომ აღნიშნა მუშა-პირუტყვის მოვლის სრულიად არადამაკმაყოფილებელი ზდგომარეობა და მისი მოუმზადებლობა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში მუშა-პირუტყვს ინახავენ ბნელ, ნესტიან, ბინძურ და დაუთბობელ ბინებში, დაცული არ არის ელემენტარული ვეტერინარული მოთხოვნები. დასუსტებული მუშა-პირუტყვი არ არის გამოყოფილი და გაძლიერებულ კვებაზე დაყენებული, მას შემწოლილი არა აქვს მოვლისა და შენახვის უკეთესი პირობები. მიუხედავად საკვების დეფიციტისა, ადგილი აქვს საკვების უყაირათოდ ხარჯვას. მიღებული არ არის ზომები საგაზაფხულო თესვის სამუშაოებისათვის საკვების ხელშეუხებელი ფონდის გამოსაყოფად. მთელ რიგ რაიონებში საკვების ხელშეუხებელი ფონდები გამოყოფილი არ არის ნატურით, გაფორმებული არ არის სათანადო აქტებით და სხვ.

არცერთ შემოწმებულ რაიონში

ელექტრონული ვერსია: ილიაუნის ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საწარმოო აღმავლობით შევხვდეთ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის პატივსაცემად

ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეეგებნენ პრესაში გამოქვეყნებულ თეზისებს ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებისას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მუშები, მოსამსახურეები, მშრომელი ინტელიგენცია იწყებენ წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებას, აღწევენ ახალ საწარმოო წარმატებებს.

○

მოსკოვი. ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ ყველა საამქროში გაიშალა შეჯიბრება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის აღსანიშნავად. 30 იანვარს მარტენის საამქროებმა ფოლადის გამოდნობის გეგმა 128,1 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მათ დაამზადეს 213 ტონა ლითონი. მარტენის ძველმა საამქრომ დავალებით გათვალისწინებული 587 ტონის ნაცვლად გამოუშვა 782 ტონა ფოლადი. ამ დღეს აქ არ ყოფილა არცერთი ტონა წუნი და ლითონის დანაკარგი.

ხარკოვი. ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანაში სამოტორო, სამსხმელო და სამეედლო საამქროთა კოლექტივები დადგნენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სტახანოვურ ვახტზე. სამეედლო საამქროს მტვიფრავმა ამხ. რაზდობარამ ერთ ცვლაში დასტვიფრა 820 დეტალი და ნორმა 150 პროცენტით შეასრულა. ერთნაირი ნორმა მოგვცა ამავე საამქროს მტვიფრავმა ამხ. კორნიენკომ.

○

რიაზანი. რიბნოეს დეპოს მეორთქლმავლეებმა 31 იანვარს მოაწყეს პირველი რეისი პარტიის XVIII ყრილობის აღსანიშნავად. შემანქანე ამხ. მიხაილოვმა რიბნოედან ვოსკრესენსკში 3 ათასტონიანი შემადგენლობა გაატარა 31,9 კილომეტრი საშუალო სიჩქარით საათში. ამავე მარშრუტით მემანქანე ამხ. ზაბინმა 3,250-ტონიანი შემადგენლობა გაატარა 49 კილომეტრი სიჩქარით საათში. (საკდესი).

კონსულტანტი ამხ ა. თოფურია კონსულტაციას უწევს თბილისის ბრეზენტსამკერვალო ფაბრიკის მუშაკებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ პარტიის ისტორიას. სამკდესის ფოტოკორონიკა

მოვაწყოთ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება

მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ცვლათა მიტინგებზე მიმართეს მიიღეს ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ყველა მუშას, კოლმეურნისა და ინტელიგენციისადმი. მიმართვას მიტინგის 5.000 მონაწილის საბედნიეროთ ხელი მოაწერეს ქარხნის საუკეთესო სტახანოველებმა.

„საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებამ პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ, — ნათქვამია მიმართვაში, ახალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია ჩვენს ქარხანაში ისე, როგორც მთელს ქვეყანაში. ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშები, მუშა-ქალები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები ლენინ-სტალინის პარტიის ყრილობას საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნავენ.

ჩვენ, ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშებმა, მუშა-ქალებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა მივმართავთ ქ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელებს წინადადებით გამოაცხადონ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. ფართოდ გავშალოთ ფაბრიკების, ქარხნების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ინსტიტუტების წინასაყრილობო შეჯიბრება, რათა მივიღოთ უფლება ვუპატაკოთ ყრილობას ჩვენი მიღწევების შესახებ“.

ქარხნის კოლექტივი თავის მხრივ ვალდებულებას კისრულობს: ვადამდე შეასრულოს პირველი კვარტალის გეგმა და მისცეს ქვეყანას გეგმის გადამეტებით 30 მაღალხარისხოვანი დაზგა, აითვისოს დაზგებზე 4 ახალი ტიპი და დაამუშაოს 3 დაზგის კონსტრუქცია. აითვისოს და შეასრულოს გამომუშავების ახალი ნორმები, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მიაღწიოს სანომუშო დისციპლინას, შეამჭიდროოს სამუშაო დღე და პირველ კვარტალში განაპორციელოს რაციონალიზატორული წინადადებანი, რომელნიც მისცემენ ჩვენს ქვეყანას 100 ათასი მანეთის ეკონომიას მაინც.

„სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლა, — ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, — სტახანოვური შრომის კოლექტიური ორგანიზაცია, შრომის დისციპლინის განმტკიცება. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიადსაკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილების განუხრელი შესრულება—აუცილებელ პირობებს წარმოადგენს ჩვენი ვალდებულებების განსახორციელებლად“. (საკდესი).

ჩაეგებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში

(გორი, საკ. კორესპონდენტისაგან)

სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადში“ შესდგა მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ადამიანები, სულ 300 კაცი. კოლმეურნეებმა მოისმინეს ამხ. სხირტლაძის ინფორმაცია პარტიის მორიგი XVIII ყრილობის 10 მარტს მოწვევის შესახებ. სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯანეზაშვილი, პარტორგი ბამანჯაყელი და სტახანოველი ბრიგადირი ანესაშვილი, რომელმაც შეიტანა წინადადება მის ბრიგადას ეწოდოს XVIII ყრილობის სახელობის ბრიგადა. მან აიღო ვალდებულება, აგვისტოს-ლამდე 9 დაზგისა ვიმუშავებ 10 დაზგაზე. ამხ. სუმბაძემ იმავე დღეს გააწყდა თავისი ვალდებულება.

მეორე ცვლის ტექნიკოსმა ვ. ჯმუხაძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია პირველი ცვლის ტექნიკოსი ნ. მაღლაკელიძე; ორივემ იკისრეს ვალდებულება მიცემული გეგმა გადაჭარბებით შეასრულონ ყრილობის გახსნამდე.

გ. ასათიანი

სვახანოველების სიტყვა და საქმე

(თელავი, საკ. კორესპონდენტისაგან)

თელავის ძაფსაღებ ფაბრიკაში ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცნობა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

სტახანოველმა მუშამ ნ. სუმბაძემ მიტინგზე განაცხადა: ვიღებ ვალდებულებას ყრილობის მოწვევის დღისათვის გეგმა შევასრულო 250 პროცენტით; დღეიდან ნაცვლად 10 დაზგისა ვიმუშავებ 12 დაზგაზე. ამხ. სუმბაძემ იმავე დღეს გააწყდა თავისი ვალდებულება.

მეორე ცვლის ტექნიკოსმა ვ. ჯმუხაძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია პირველი ცვლის ტექნიკოსი ნ. მაღლაკელიძე; ორივემ იკისრეს ვალდებულება მიცემული გეგმა გადაჭარბებით შეასრულონ ყრილობის გახსნამდე.

გ. ასათიანი

ჭიათურა-ჭიკოლეიბუსის ჭრესჭის მუშათა ვალდებულებანი

ცნობამ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის 10 მარტს მოწვევის შესახებ უდიდესი საწარმოო აღფრთოვანება გამოიწვია თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის მუშებსა, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებში.

— სარემონტო-საამწყობო საამქროს კომკავშირული ბრიგადა,—ამბობს ბრიგადირი ამხ. აბოვიანი, — ვალდებულებას კისრულობს გამოუშვას XVIII ყრილობისათვის გეგმის გადამეტებით ტრამვაის ერთი შემადგენლობა და გეგმის გადამეტებით 5 ვაგონი მიმდინარე რემონტიდან. საზეინკლო-მექანიკური საამქროს კომკავშირული ბრიგადა ვალდებულებას კისრულობს ყრილობის საპატივცემულოდ გეგმის გადამეტებით გამოუშვას ას-ასი მარწუხი სამჭედლო და საზეინკლო საამქროებისათვის და მოამზადოს გამოსაშვებად 300 ცალი რესორი.

საღუზე საამქროს სამოტორო ბრიგადის ზეინკალმა ბავტუკოვიჩმა განაცხადა, რომ მისი ბრიგადა კისრულობს გამოუშვას გეგმის გადამეტებით 5 ელექტრომოტორი.

მექანიკური საამქროს სტახანოველმა მღარეელმა კოხრეიძემ ვალდებულება იკისრა დაღაროს გეგმის გადამეტებით ვაგონის 10. დიდი და 10 პატარა კბილანა, აგრეთვე 6 ცალი ტროლეიბუსის ნახევარღერძი.

საჩუქრად გეგმის გადამეტებით გამოუშვას ას-ასი მარწუხი სამჭედლო და საზეინკლო საამქროებისათვის და მოამზადოს გამოსაშვებად 300 ცალი რესორი.

დასასრულ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. დვალი, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პირველადი პარტორგანიზაციები უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ეკიდებოდნენ როგორც ძირეული პრესისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევის, ისე მუშსოფლკორთა შორის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხებს. თათბირის მიერ დასახულ კონკრეტულ ღონისძიებათა საფუძველზე, — განაცხადა ამხ. დვალმა, — რომელსაც რაიკომის ბიურო დაამტკიცებს, ვადაჭრით უნდა გარდაიქმნას რაიონში ძირეული პრესის მუშაობა და პარტიული ხელმძღვანელობა მისდამი.

გარდა მუშსოფლკორთა აქტივისა და ძირეული პრესის მუშაკებისა, თათბირს ესწრებოდნენ რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომთა მდივნები და პარტორგები.

რაიონული თათბირი მუშსოფლკორთა შორის და ძირეული პრესის მუშაობის საკითხებზე

გაზ. „კომუნისტას“ და საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მიერ მუშსოფლკორთა შორის და ძირეული პრესის მუშაობის საკითხებზე მოწვეულმა რაიონულმა თათბირმა, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, განიხილა ორი საკითხი: 1. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად ძირეული პრესის მუშაობის გარდაქმნისა და 2. მუშსოფლკორთა შორის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. მელაძემ, მეორე საკითხზე — რაიონული გაზეთ „კოლმეურნის ჭზის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა ამხ. ზ. თოდრიამ.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა გეგელიამ, კოჩაძემ, შვილობაძემ, შავიშვილმა, შუქრი თურმანიძემ და სხვ. მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ კედლის გაზეთები არადამაკმაყოფილებლად აშუქებენ პარტკომკავშირული ცხოვრების და პარტიული პროპაგანდის საკითხებს, ძირეულ პრესაში ნაკლებად თანამშრომლობენ პარტკომკავშირელები და ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია ნაკლებად ეხმარება კედლის გაზეთების რედაქტორებს და რედკოლეგიის წევრებს პრაქტიკულ მუშაობაში.

თათბირზე ისიც აღინიშნა, რომ რაიონული გაზეთი „კოლმეურნის გზა“ სუსტად ეხმარება კედლის გაზეთებს, სოფლკორთა და კედლკორთა შორის მუშაობა ჯერ კიდევ მივიწყებული უბანია მის მუშაობაში, მოწესრიგებული არ არის სკოლმეურნეო კედლის გაზეთების რედაქტორთა დაუსწრებელი სწავლება და სხვ.

დასასრულ შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. დვალი, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პირველადი პარტორგანიზაციები უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა ეკიდებოდნენ როგორც ძირეული პრესისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევის, ისე მუშსოფლკორთა შორის მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხებს. თათბირის მიერ დასახულ კონკრეტულ ღონისძიებათა საფუძველზე, — განაცხადა ამხ. დვალმა, — რომელსაც რაიკომის ბიურო დაამტკიცებს, ვადაჭრით უნდა გარდაიქმნას რაიონში ძირეული პრესის მუშაობა და პარტიული ხელმძღვანელობა მისდამი.

გარდა მუშსოფლკორთა აქტივისა და ძირეული პრესის მუშაკებისა, თათბირს ესწრებოდნენ რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომთა მდივნები და პარტორგები.

დღეს, 2 თებერვალს გაიხსნება საქ. ალკა თბილისის ორგანიზაციის XXI კონფერენცია შემდეგი დღის წესრიგით:

1. საქ. ალკა თბილისის კომიტეტის ანგარიში
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. არჩევნები

კონფერენცია მოწვეულია ხალამოს 7 საათზე საქ. სსრ შინსახკომის კლუბში (ბესიკის ქუჩა № 4).

საქ. ალკა თბილისის კომიტეტი.

სამკერვალო ფაბრიკებში

თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის ათასიანი კოლექტივი ახალი საწარმოო ვალდებულებებით შეხვდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებას 10 მარტისათვის მოწვევის შესახებ. მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო მიტინგზე პარტკომის მდივანმა ამხ. გ. პირუმოვამ დამსწრეებს გააცნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ. ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველმა ნინა დავითაშვილმა იკისრა პირველი კვარტალის საწარმოო გეგმის 200 პროცენტით შესრულება. საამქროს უფროსებმა ამხ. ზ. ოგანეზოვმა, გ. კოლხიდოვმა და ვ. ბაბაიანმა XVIII ყრილობის აღსანიშნავად აიღეს ვალდებულება პირველი კვარტალის გეგმა შეასრულონ 10 მარტისათვის 110 პროცენტით. № 145 აგრეგატულ მუშების მოთხოვნით ეწოდა XVIII ყრილობის სახელი.

ენტუზიაზმით ჩატარდა საზეიმო მიტინგი № 6 სამკერვალო ფაბრიკაშიც. მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა სტახანოველებმა ამხ. კობილკომ, მურადოვმა და სტეფანოვმა აიღეს ვალდებულება 10 მარტისათვის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა შეასრულონ 140 პროცენტით. ინდივიდუალური დაკვეთების საამქრომ (საამქროს უფროსი—ამხ. გეურჭოვი) საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია საგამომჭრელო საამქრო და მოუწოდა ფაბრიკის ყველა საამქროს საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ახალი გამარჯვებებით შევხვდებით

დარბაზში ტაშმა იგრიალა, როცა ნავთლულის წისქვილკომბინატის პარტკომის მდივანმა ამხ. ლევინმა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს გააცნო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება პარტიის მეთვრამეტე ყრილობის მოწვევის შესახებ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: კირაკოზაშვილი, გრიგორიანი, სტახანოველი სოროკინი (სარემონტო ბრიგადის ბრიგადირი), ვალენტინა კუზმინა (ლაბორატორიის გამგის მოადგილე), სტახანოველები განჯინი (მეწისქვილეთა საამქროს უფროსი) და გაბრიელოვი, დუნდუა, ტოკმაცევი, გოგებაშვილი და სხვები. მათ იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებები—თებერვლის საწარმოო გეგმა შეასრულონ 110 პროცენტით, ბოლო პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 5 პროცენტით. სტახანოველ გალკინის ბრიგადამ აიღო ვალდებულება, რომ თებერვლის გეგმას შეასრულებს 112 პროცენტით, ხოლო თვითღირებულებას შეამცირებს 6 პროცენტით. აღფრთოვანებული სიტყვით გამოვიდა სტახანოველი რაზუმოვი (მეთუნუქეთა ბრიგადის ბრიგადირი), რომელმაც იკისრა ვალდებულება თებერვლის გეგმა შეასრულოს 300 პროცენტით.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ წისქვილკომბინატის კოლექტივი ღებულობს ვალდებულებას თებერვლის საწარმოო გეგმა შეასრულოს 110 პროცენტით, ხოლო თვითღირებულება შეამციროს 5 პროცენტით. კომბინატის კოლექტივი, — ნათქვამია რეზოლუციაში, — ბოლშევიკური პირობას იძლევა, რომ ლენინ-სტალინის პარტიის მეთვრამეტე ყრილობას შეხვდება ახალი გამარჯვებებით.

შ. ოზაშვილი

ლირსეულად შევხვდებით კარჩის XVIII ყრილობას

(სევასტოპოლი, საკ. კორესპონდენტისაგან)

რკინიგზის სამტრედიის კვანძის საწარმოებში ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი მიტინგები. ტრანსპორტელები აღფრთოვანებით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის 10 მარტს მოწვევის შესახებ.

რკინიგზის სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა ი. კოპალეიშვილმა, ბ. ოდიშარიამ, ვ. დუნდუამ, გ. სილაგაძემ, ჰანტურიამ და სხვებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომ ისინი საწარმოო გეგმას 300 პროცენტით შეასრულებენ და ღირსეულად შეხვდებიან ყრილობის გახსნის დღეს — 10 მარტს.

სამრთლმაძღვრო დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა იკისრეს ვალდებულება 200 პროცენტით შეასრულონ თებერვლის თვის საწარმოო დავალება.

გ. სიხარულიძე

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა ფარული ქენჭისყრით სხვებთან ერთად აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს პროფ. ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.



პროფ. ნ. ი. მუსხელიშვილი საყოველთაოდ ცნობილია მათემატიკოსებში, მექანიკოსებში, ინჟინერთა ფართო წრეებში. მას, როგორც გამოყენებითი მათემატიკის დარგში მომუშავე მეცნიერს, იცნობენ საბჭოთა კავშირის ყველა უნივერსიტეტში და სამეცნიერო დაწესებულებებში.

პროფ. ნ. მუსხელიშვილმა სახელი გაითქვა თავისი ახალი ნაშრომით, რომელიც შეეხება დრეკადობის თეორიასა და მის გამოყენებას. ეს თეორია დაფუძნებულია სხეულების დრეკადობის თვისებებზე და იგი ყველა ქვეყნის გამოჩენილი მათემატიკოსების მიერ აღიარებულია კლასიკურ ნაწარმოებად. ეს ნაშრომი გადათარგმნა სხვადასხვა ენებზე და ამით ხელმძღვანელობენ საალმშენებლო მექანიკის პრობლემების შესწავლისას.

პროფ. ნ. ი. მუსხელიშვილს სამეცნიერო მუშაობის 25 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს 35-მდე მეცნიერული ნაშრომი, რამაც მას მოუპოვა მსოფლიოს უდიდესი მეცნიერის, დრეკადობის თეორიის უდიდესი სპეციალისტის სახელი.

პროფ. ნ. ი. მუსხელიშვილმა შექმნა რამდენიმე სრულიად ორიგინალური, ახალი მეთოდი, მოგვცა დრეკადობის თეორიის მთელი რიგი უძნელესი ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც მანამდის შეუძლებლად ითვლებოდა.

ნ. ი. მუსხელიშვილს დიდი დამსახურება მოუძღვის აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდაში. იგი ნამდვილი საბჭოთა მეცნიერია.

1915 წელს მან დაამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი. სამაგისტრო გამოკვლები ჩაბარა 1918 წელს. 1920 წელს ნ. ი. მუსხელიშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1922 წელს მან მიიღო პროფესორობა. 1933 წელს მას ირჩევენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ნ. ი. მუსხელიშვილი არის დრეკადობის თეორიის საბჭოთა სკოლის შემქმნელი და ხელმძღვანელი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ნ. მუსხელიშვილი განუწყვეტლივ ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მუშაობს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარედ, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თბილისის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში.

საქართველოს მშრომელებმა ღირსეულად შეაფასეს დიდი საბჭოთა მეცნიერის ღვაწლი და იგი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ბრძანებაუღებელი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა მწერალების დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წარმატებებისა და მიღწევებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

1. **ასეევი** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე.
2. **ბაჟანი** ნიკოლოზ პლატონის-ძე.
3. **ვირტა** ნიკოლოზ ვევგენის-ძე.
4. **გლადკოვი** თეოდორე ვასილის-ძე.
5. **დადიანი** შალვა ნიკოლოზის-ძე.
6. **დემირჩიანი** დერენიკ კარაპეტის-ძე.
7. **კატაევი** ვალენტინ პეტრეს-ძე.
8. **კოლასი** იაკუბი.
9. **კორნეიჩუკი** ალექსანდრე ევდოკიმეს-ძე.
10. **კუპალა** იანკა.
11. **მარკიში** პერეც დავითის-ძე.
12. **მარშაკი** სამუილ იაკობის-ძე.
13. **მიხალკოვი** სერგეი ვლადიმერის-ძე.
14. **პავლენკო** პეტრე ანდრიას-ძე.
15. **პეტროვი** ევგენი პეტრეს-ძე.
16. **პოგოდინი** ნიკოლოზ თევდორეს-ძე.
17. **ტვარდოვსკი** ალექსანდრე ტრიფონის-ძე.
18. **ტიხონოვი** ნიკოლოზ სიმონის-ძე.
19. **ტიჩინა** პავლე გრიგოლის-ძე.
20. **ფადეევი** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე.
21. **შოლოხოვი** მიხეილ ალექსანდრეს-ძე.

„შრომის წითელი დროშის“ ორდენით

1. **ატა** სალიბი.
2. **ბარიშნიკოვა** ანა კუპრიანის-ასული.
3. **ბაბმეტიევი** ვლადიმერ მათეს-ძე.
4. **ბეზზუბოვა** თეკლე ივანეს-ასული.
5. **ილინი მ.**
6. **ბიადულია** სამუილ ექვთიმეს-ძე.
7. **ვერესაევი** ვიკენტი ვიკენტის-ძე.
8. **გაფური** გულიამ.
9. **გამზათი** ცადას.
10. **გერმანი** იური პლატონის-ძე.
11. **ზოშჩენკო** მიხეილ მიხეილის-ძე.
12. **ივანოვი** ვსევოლოდ ვიაჩესლავის-ძე.
13. **ისაკოვსკი** მიხეილ ვასილის-ძე.
14. **ქიაჩელი** ლეო.
15. **კირსანოვი** სიმონ ისაკის-ძე.
16. **კვიტკო** ლევ მოსეს-ძე.
17. **კრიმოვი** იური სოლომონის-ძე.
18. **კრიუკოვა** მართა სიმონის-ასული.
19. **ლავრენევი** ბორის ანდრიას-ძე.
20. **ლეონიძე** გიორგი ნიკოლოზის-ძე.
21. **ლეონოვი** ლეონიდ მაქსიმეს-ძე.
22. **ლორთქიფანიძე** კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე.
23. **ლინკოვი** მიხეილ ტიხონის-ძე.
24. **მაკარენკო** ანტონ სიმონის-ძე.
25. **მაგერამ-ოლლი** დადაშ ზადე არიფ.
26. **მანური** შეიხ.
27. **მოსაშვილი** ილია ონისიმეს-ძე.
28. **ნოვიკოვ-პრიბოი** ალექსი სილის-ძე.
29. **პანფეროვი** თევდორე ივანეს-ძე.
30. **პაუსტოვსკი** კონსტანტინე გიორგის-ძე.
31. **რილსკი** მაქსიმე თადეის-ძე.
32. **სამუილენკო** ედუარდ ლიუდვიგის-ძე.
33. **სარიანი** გეღამ.
34. **სეიფულინა** ლიდია ნიკოლოზის-ასული.
35. **ხელვინსკი** ილია ლევის-ძე.
36. **ტინიანოვი** იური ნიკოლოზის-ძე.
37. **ტოგმაგამბეტოვი** ასკარ.
38. **ტურსუნ-ზადე.**
39. **უმურზაკოვი** ისა.
40. **უსენბაევი** ულუმკულ.
41. **ფედინი** კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე.
42. **ფორში** ოლღა დიმიტრის-ასული.
43. **ცუგა** ტეუჩეჟი.
44. **ჩიქოვანი** სიმონ ივანეს-ძე.
45. **ჩუკოვსკი** კორნეი ივანეს-ძე.
46. **შაგინიანი** მარიეტა სერგეის-ასული.
47. **შენგელაია** დემნა კონსტანტინეს-ძე.
48. **შკლოვსკი** ვიქტორ ბორისის-ძე.
49. **იანოვსკი** იური ივანეს-ძე.

„ხალატის ნიშნის“ ორდენით

1. **აბდულაევი** საბირი.
2. **აბაშიძე** ირაკლი ბესარიონის-ძე.
3. **აზიმოვი** სულეიმან.
4. **ადალიხი** ადელინა ექვთიმეს-ასული.
5. **ანტოკოლსკი** პავლე გრიგოლის-ძე.
6. **აბიშევი** ალჯაფარ.
7. **აკიევი** კალიკ.
8. **ანწოროვი** ბოლკან.
9. **აბასოვი** ამირჯან.
10. **ალიმოვი** სერგეი იაკობის-ძე.
11. **არაზი** მოვეს მელიქის-ძე.
12. **ბროვკა** პეტრე იუსტინეს-ძე.
13. **ბარტო** აგნია ლევის-ასული.
14. **ბილ-ბელოცერკოვსკი** ვლადიმერ ნაუმის-ძე.
15. **ბიკბაევი** ბაიაზიტ.
16. **ბლაგინინა** ელენე ალექსანდრეს-ასული.
17. **ბორიანი** გურგენ მიხეილის-ძე.
18. **ვიშნევსკი** ვსევოლოდ ვიტალის-ძე (წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული).
19. **ვურგუნი** სამედ (წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული).
20. **გალკინი** სამუილ ზალმონის-ძე.
21. **გალხანოვი** ტიდენჟანბ ჰასანის-ძე.
22. **გლებკა** პეტრე თევდორეს-ძე.
23. **ფინკი** ვიქტორ გრიგოლის-ძე.
24. **გერასიმოვა** ვალერია ანატოლის-ასული.
25. **გუსევი** ვიქტორ მიხეილის-ძე.
26. **გაიდარი** არკადი პეტრეს-ძე.
27. **გრიფცოვი** ბორის ალექსანდრეს-ძე.
28. **გაფრინდაშვილი** ვალერიან ივანეს-ძე.
29. **გოლოვკო** ანდრია ვასილის-ძე.
30. **გოფშტეინი** დავით ნაუმის-ძე.
31. **ჯამბულ ჯაბაევი** (წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული).
32. **დურდი** კლიჩა.
33. **დოლმატოვსკი** ევგენი ათანის-ძე.
34. **დეხტი** პირ მუჰამედ ზადე აბდუსალიამ.
35. **ჯური** სულთან.
36. **დიკოვსკი** სერგეი ვლადიმერის-ძე.
37. **უაროკოვი** ტაირ.
38. **უაროვი** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე.
39. **ზარიანი** ნაირ (წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული).
40. **ზორიანი** სტეფან ეღიშეს-ძე (წინათ „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებული).
41. **ინბერი** გერა მიხეილის-ასული.
42. **კარავაევა** ანა ალექსანდრეს-ასული.
43. **კლდიაშვილი** სერგო დავითის-ძე.
44. **კოჟაროვი** იდრის.
45. **კოცოევი** არსენ.
46. **კოვალიოვი** ივანე თევდორეს-ძე.
47. **კონაშკოვი** თევდორე ანდრიას-ძე.
48. **კორგუევი** მათე მიხეილის-ძე.
49. **კახარი** აბდულა.
50. **კასილი** ლევ აბრაშის-ძე.
51. **კერემბეკოვი** საიადილმ.
52. **კაშკინი** ივანე ალექსანდრეს-ძე.
53. **კოჩინი** ნიკოლოზ ივანეს-ძე.
54. **კამენსკი** ვასილ ვასილის-ძე.
55. **ლაპინი** ბორის მათეს-ძე.
56. **ლებედევ-კუმაჩი** ვასილ ივანეს-ძე (წინათ „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებული).
57. **ლოზინსკი** მიხეილ ლეონიდის-ძე.
58. **ლუგოვსკოი** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე.
59. **ლიაშკო** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე.
60. **ლევინი** ბორის მიხეილის-ძე.
61. **ლებედევი** მიხეილ ნიკოლოზის-ძე.
62. **მაშაშვილი** ალიო ანდრიასძე (წინათ „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებული).
63. **მირზარი** დილბაზი.
64. **მიტროფანოვი** ალექსანდრე გიორგის-ძე.
65. **ნიკულინი** ლევ ბენიამინის-ძე.
66. **ნოვიკოვი** ივანე ალექსის-ძე.
67. **ოლიგერი** მარგარიტა იოსების-ასული.
68. **ოსმონოვი** ალიმკულ.
69. **პლიევი** გრიშ.
70. **პროკოფიევი** ალექსანდრე ანდრიას-ძე.
71. **პერვენცევი** არკადი ალექსის-ძე.
72. **პანჩი** პეტრე იოსების-ძე.
73. **პენკოვსკი** ლევ მინანის-ძე.
74. **პრიშვინი** მიხეილ მიხეილის-ძე.
75. **რიაბინინ - ანდრეევი** პეტრე ივანეს-ძე.
76. **რახიმი** მუხამედჯან.
77. **რომაშოვი** ბორის სერგეის-ძე.
78. **სიჟაევი** კილიჩ.
79. **სერაფიმოვიჩი** ალექსანდრე სერაფიმეს-ძე (წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული).
80. **სერგეევ-ცენსკი** სერგეი ნიკოლოზის-ძე.
81. **სტავსკი** ვლადიმერ პეტრეს-ძე.
82. **სობოლევი** ლეონიდ სერგეის-ძე.
83. **ხავინი** ლევ ისაის-ძე.
84. **ხლინოშკი** მიხეილ ლეონიდეს-ძე.
85. **სიმონოვი** კირილე მიხეილის-ძე.
86. **ხურკოვი** ალექსი ალექსანდრეს-ძე.
87. **ხაიანოვი** ბესარიონ მიხეილის-ძე.
88. **ტოლსტოი** ალექსი ნიკოლოზის-ძე (წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოებული).
89. **ტრენევი** კონსტანტინე ანდრიას-ძე (წინათ „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებული).
90. **ტურუსბეკოვი** იუსუფ.
91. **ტაჯიბაევი** აბგილდ.
92. **ტაში** გიზატ.
93. **ულანაშევი** ნიკოლოზ.
94. **ფაიკო** ალექსი მიხეილის-ძე.
95. **ფარახი.**
96. **ფეფერი** ისაკ სოლომონის-ძე.
97. **შანშიაშვილი** სანდრო ილიას-ძე (წინათ „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებული).
98. **შელები** ნიკოლოზ ივ ნეს-ძე.
99. **შირაზი** ოგანეზ ტატევოსის-ძე.
100. **შიშკოვი** ვიაჩესლავ იაკობის-ძე.
101. **შკვარკინი** ვასილ ვასილის-ძე.
102. **შადაევი** ალოლონ ინოკენტის-ძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱԺ XVIII ՍԱՀՄԱՆԱԴՐԱԿԱՆ ՀԱՄԱԺՈՂՈՎԻ ԱՌԱՋԻՆ ՆԻՍՏԱՇՐՋԱՆԻ ՕՐԱԿԱՐԳԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱԺ XVIII ՍԱՀՄԱՆԱԴՐԱԿԱՆ ՀԱՄԱԺՈՂՈՎԻ ԱՌԱՋԻՆ ՆԻՍՏԱՇՐՋԱՆԻ ՕՐԱԿԱՐԳԸ

ԵՐԵՔՇԱԲԹԻ, 30 ապրիլի (հայկ-տեղ). Ապրիլի 29-ի երեկոյան ժողովրդական տնտեսության պետական պլանի հաստատման հարցով ելույթ ունեցավ ՀԽՍՀ ժողկոմխորհի նախագահ ընկ. Ա. Ի. Ֆադեյևը։

«Ներկայացված պլանը,— ասաց նա,— ամրագրում է մեր հանրապետության տնտեսական զարգացման ընդհանուր ուղին։ Այդ պլանը